სამშობლო დიდის ქუჩაა, არ გაიცვლება სხვაზედა..

# ოდიში

1991 ხუთშაბათი 21 თებერვალი № 22 (10415) ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს

**პატივცემულო** თავმჯდომარევ!

პატივცემულო კოლეგებო!

ახლანდელ პირობებში, როცა ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და საბჭოთა არმიის ნაწილების საფარითა და მხარდაჭერით ოსი ექსტრემისტები ტერორით აშინებენ, ხოცავენ და მშობლიური მიწიდან ერეკებიან ქართული ეროვნების მშვიდობიან მცხოვრებლებს, უზენაესი საბჭოს წევრები საქართველოს რესპუბლიკისაგან უარს ამბობენ მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სხდომებში.

ჩვენ გამოვხატავთ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ცდილობენ ძალადურად მოსწყვიტონ საქართველოს შიდა ქართლის ისტორიული პროვინცია და იქ გააჩაღეს ძმათამკვლელი ომი, და ვაცხადებთ:

უხეშად ირღვევა ყველა საერთაშორისო, კონსტიტუციური, ზნეობრივი და ადამიანური კანონი ქართველი ხალხის მიმართ;

სანამ არ გამოვლინდებიან და არ დაისჯებიან ოს ექსტრემისტთა მეთაურები და ისინი, ვინც ფარულად თუ აშკარად უჭერს მათ მხარს, ვერ ჩაქრება ქართველი ხალხის მთელ ისტორიაში გაუგონარი სისხლისმღვრელი ეთნოკონფლიქტი.

და ყოველივე ეს ხდება ცენტრალური პრესისა და ტელევიზიის მხრივ სრული დეზინფორმაციის პირობებში, რომელიც საქართველოს ხელმძღვანელობას ბრალად სდებს ბლოკადის მოწყობას იმ დროს, როცა ეს მომხდარი ამბებით სასოწარკვეთამდე მისული ხალხის სტიქიური რეაქციაა.

გთხოვთ გაიგოთ და მხარი დაუჭიროთ ჩვენს პროტესტს.

მოკლედ საკითხის ისტორია ასეთია:

სამხრეთ ოსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეული შეიქმნა ოდინდელ ქართულ მიწაზე 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძალადური გასაბჭოებისა და ფაქტობრივი ანექსიისთანავე.

1989 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ავტონომიურ რესპუბლიკად ოლქის გარდაქმნის შესახებ. ეს გადაწყვეტილება გააუქმა, როგორც ანტიკონსტიტუციური აქტი, საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 19 ნოემბერს.

1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიიღო დეკლარაცია „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ“, რომლითაც სამხრეთ ოსეთი ცხადდებოდა „სამოკავშირეო ხელშეკრულებისა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად“, რომელიც „დამოუკიდებლად ახორციელებს საგარეო ურთიერთობას ფედერაციის სხვა ობიექტებთან და სახელმწიფოებთან“.

1990 წლის 21 სექტემბერს, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ეს დეკლარაცია ბათილად იქნა მიჩნეული. მაგრამ 1990 წლის 16 ოქტომბერს, ამ დადგენილების საწინააღმდეგოდ, შეიქმნა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ აღმასრულებელი კომიტეტი, და ამით სეპარატისტებმა თვითონ გააუქმეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. დაინიშნა „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის“ უზენაესი საბჭოს არჩევნები. და ეს იმ დროს, როცა ოსი ხალხის ისტორიული სამშობლო შედის რუსეთის სფს რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ გააუქმა ეს დადგენილებანი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობა გააფრთხილა, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ამ ანტიკონსტიტუციური მოქმედების შესაძლო შედეგებისათვის.

მაგრამ, ამის მიუხედავად, 1990 წლის 9 დეკემბერს სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, არჩევნები მაინც გაიმართა.

სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ ყურად არ იღო მრავალი ოფიციალური გაფრთხილება, არ დაეთანხმა მოლაპარაკებას და განაგრძო სეპარატისტული მოქმედება. იგი ყოველნაირად პროვოკაციაზე იწვევდა საქართველოს ხელმძღვანელობას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ სავსებით შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ რომელსაც ამავე დროს აქვს საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირება თავის ისტორიულ სამშობლოში — ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (27-ე მუხლი), ჰელსინკის 1975 წლის თათბირის საბოლოო აქტი, მადრიდისა და ვენის შეხვედრათა შემაჯამებელი დოკუმენტები და 1990 წლის „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის“ არ ითვალისწინებენ ეროვნული უმცირესობისათვის რაიმე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფორმირების არსებობას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ცხოვრობს 100 ათასი ბერძენი, 308 ათასი აზერბაიჯანელი, 341 ათასი რუსი, 437 ათასი სომეხი, მათი კულტურული, რელიგიური და ენობრივი უფლებები არასოდეს არ დარღვეულა და არც არასოდეს დაირღვევა.

საქართველოს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის კონსტიტუციების შესაბამისად, ჩვენს რესპუბლიკას, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც, როგორც სუვერენული სახელმწიფოა, უფლება აქვს დაიცვას თავისი ტერიტორიული მთლიანობა და ამასთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილებანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებზე.

ერთხელ კიდევ გთხოვთ გაიგოთ და მხარი დაუჭიროთ ჩვენს პროტესტს.

**უზენაესი საბჭოს წევრები საქართველოს რესპუბლიკისაგან: თ. გუაჩიძე, ვ. ადვაძე, ნ. მგალობლიშვილი, ვ. კუბლაშვილი, ე. შილაია, ნ. გოგუჩავა, ა. ბაქრაძე, ა. დიხტიარი, გ. ემირიძე, გ. მეტონიძე, ვ. ბერიკაშვილი, ა. ბათიაშვილი, ჯ. გუგუჩია და სხვები.**

## გონს მოეგეთ, ბატონო „ამხანაგებო“

**კომუნისტთა** წინასაარჩევნო დაპირებანი ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან თანამშრომლობის შესახებ, წინასაარჩევნო დაპირებებად დარჩა, ხოლო სიცრუე ისევ თქვენს მთავარ იარაღად. დემაგოგიის ხელოვნება საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა და ახალ ფორმებს ღებულობდა, თქვენი ძალაუფლების პერიოდში კი სახელმწიფო მართველობის სამსახურში ჩადგა. განსაცვიფრებლად ერთნაირია თქვენი მეთოდები ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე. ლენინი, დამფუძნებელი კრების დათხოვნის წინადღეს, საქვეყნოდ აცხადებდა დემოკრატიის და სახალხოდ არჩეული დამფუძნებელი კრების უდიდესი როლის შესახებ სახელმწიფოს მართველობაში. 1918 წლის 5 იანვრის, მუშათა დემონსტრაციის დახვრეტის წინა დღეს, კი ხალხს მოუწოდებდა ქუჩაში გამოსულიყვნენ და მხარი დაეჭირათ დამფუძნებელი კრებისათვის, შედეგები თქვენთვის ცნობილია.

საქართველოს კომპარტიის ლიდერები, ერთი მხრივ უზენაეს საბჭოსა და ქართველ ხალხს ერთგულებას ეფიცებიან, ხოლო ზურგს უკან ინტრიგების ქსელს ხლართავენ და საქართველოში კომუნისტური ძალაუფლების რესტავრაციას ამზადებენ. ერთადერთი სწორი წინადადება თქვენს წერილში წარმოდგენილია ფრაზით „ხელოვნურად ვძაბავთ სიტუაციას ბატონო ზვიად“. ქემმარიტად, ბატონო კომუნისტებო, ხელოვნურად ძაბავთ სიტუაციას „საქართველოში ხალხს სცივა, წყურია, იზრდება დანაშაული“. მერედა ვისი ბრალია, ვინ მიიყვანა ხალხი სასოწარკვეთილებამდე, ვინ შთააგონებდა მათ, რომ კომუნისტური ხელისუფლება ბედნიერებისა და კანონის გარანტიაა, ვინ ყვლეფდა ხალხს და ბოლოს, ტყუილი, ძარცვა, შიში, მკვლელობა ვინ აიყვანა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში თქვენ, აშკარა პროვოკაციას მიმართავთ, როდესაც წერთ თითქოს უზენაესი საბჭო ხალხს რევოლვერებს და ავტომატებს ურიგებს ქს უკვე დემაგოგია არ არის ანალოგიური სცენარი თამაშდებოდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

გაფრთხილდით და გონს მოეგეთ ბატონო „ამხანაგებო“. ძალაუფლება დროებითი კატეგორიაა ხოლო სამშობლო, მისი თავისუფლება და ქართველი ხალხი მუდმივი და ჭეშმარიტი.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი**

### ამ დღეებში სოფლად

## ტემპი მატულობს

შარშან ახალაბასთუმნის კოლმეურნეობის მწვანე პლანტაციების ოსტატებმა 1620 ტონა ჩაის ნედლეული მიყიდეს მრეწველობას.

იმისათვის, რომ წელსაც მიღწეულ იქნას ჩაის ფოთლის უხვმოსავლიანობა, მათ ადრე, შემოდგომაზე დაიწყეს ნიადაგის დამუშავება. რიგთაშორის გადაბარვა-გაფხვიერება, სასუქების შეტანა ხარისხიანად შესრულებულია 141 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში. გასხვლისათვის მზადაა შვიდი ძრავიანი მანქანა და მექანიზატორები 25 თებერვლიდან აიღებენ სტარტს.

განსაკუთრებული ღონისძიებები ტარდება ჩაის პლანტაციების დანაგვიანების (სხვადასხვა საწამლავი ნარჩენებისაგან) სალიკვიდაციოდ, პლანტაციები მიემაგრათ ახლომდებარე მოსახლეობას, გაკეთდა ტრაფარეტები გამაფრთხილებელი წარწერებით, რის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა ჩაის პლანტაციების დანაგვიანების შემთხვევები.

მეცხოველეობისათვის ადგილობრივი საკვების შექმნის მიზნით 10 ჰექტარზე დაითესა მრავალწლიანი ბალახები, 14-ზე შვრია, 3-ზე რაფსი, 5-ზე ტურნეფსი, რომელთა აღმოცენება კარგია.

სამარცვლედ სათესი 100 ჰექტარიდან პირველი ხვნა ჩატარებულია 40 ჰექტარზე.

უვნებლად იზამთრებს 140 სული საქონელი, აქედან 35 ფური. სახელშეკრულებო დავალება ითვალისწინებს იანვარ-თებერვალში სახელმწიფოს ჩაბარდეს 9 ტონა რძე, 9 ტონა ხორცი, ფაქტიურად ჩაბარდება 10 ტონა რძე და 10 ტონა ხორცი.

სოფლის მშრომელთა განწყობა ამაღლებულია. დამოუკიდებელ საქართველოს სავალ გზაზე ახალაბასთუმნელებიც იტყვიან თავიანთ სიტყვას.

**გ. ასათიანი.**

# პირველი ინტერვიუ

გადავწყვიტეთ, გავსაუბრებოდით ქ. ზუგდიდის პრეფექტს, ბატონ თამაზ ყორყოლიანს.

პრეფექტის პირველი სამუშაო დღეებია: საკმაოდ ბევრი ხალხი, საქმიანი საუბრები, შეწუხებული სახეები...

ბატონმა თამაზმა ყურადღებით მოგვისმინა და, მოსვლის მიზეზი რომ გაიგო, შეხვედრა მეორე დღისთვის გადაგვიდო.

კვლავ საოცრად გულთბილი მიღება. ვატყობთ, ღელავს. მილოცვის შემდეგ რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**—ორიოდე სიტყვით სიტუაციაზე, რომელშიც თქვენი პრეფექტად დანიშვნა მოხდა. როგორ შეხვდით ამ ცნობას?**

—ჩემი დანიშვნის შესახებ გარკვეულად არაფერი ვიცი. ვიყავი უზენაესი საბჭოს დეპუტატი და, ალბათ, იქიდან წარმადგინეს პრეფექტის თანამდებობაზე. ყოველ შემთხვევაში მოულოდნელად მივიღე ეს ცნობა. გითხრათ, არ გამსარებიათ, ტყუილი იქნება. ამასთან, შიშმაც შემიპყრო—რამდენად შევძლებ იმედების გამართლებას.

**—გრძნობთ, თუ არა ხალხის მხარდაჭერას, თანადგომას?**

—ხალხის მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძნობდი, ეხლაც, რა თქმა უნდა. იმედი მაქვს, ასევე გაგრძელდება.

**—თქვენი ოპონენტების აზრით, პრეფექტის ინსტიტუტი გულისხმობს ერთი კაცის ხელში განუსაზღვრელი ძალაუფლების თავმოყრას. თქვენ რას იტყოდით?**

—ეს არასწორი აზრია. ვეთანხმებით, პრეფექტის ხელში დიდი ძალაუფლებაა თავმოყრილი. 31 მარტს კი შედგება საკრებულოების არჩევნები, რომლებიც კონტროლს გაუწევენ ახალი პოლიტიკის გატარების პროცესს, უფლებამოსილნი იქნებიან, დანიშნონ პასუხისმგებელი პირები. ამასთან, საკრებულოები მრავალპარტიულობის პრინციპზე იქნება არჩეული, რაც გარანტიას იძლევა, რომ ჩვენს მუშაობაში გათვალისწინებული იქნება თითოეულის აზრი. საკრებულო უფლებამოსილია, უზენაეს საბჭოში პროტესტი განაცხადოს პრეფექტის საქმიანობაზე. ჩემის აზრით, ყოველივე ეს უარყოფს ოპონენტთა თვალსაზრისს.

**—რამდენად რთული იყო გზა, რომელიც დღემდე გამოიარეთ?**

—რა თქმა უნდა, იგი საკმაოდ რთული იყო გაძნელებული ბრძოლებით... მაგრამ ისეთი აზარტი იყო ყოველივე ამაში, რომ გზამ უცებ განვლო.

**—სად პოულობდით სულიერ სიმშვიდეს ამ გზაზე კრიზისული მომენტების დროს?**

—სიმშვიდე კვლავ ბრძოლაში იყო.

**—ვინ არის თქვენთვის იდეალური პოლიტიკური მოღვაწე?**

—უპირატესობას ვანიჭებ პოლიტიკოსებს დასავლეთის იმ ქვეყნებიდან, რომლებიც დემოკრატიაში დიდი ტრადიციებით გამოირჩევიან. ძალიან მომწონს ტეტჩერი, რეიგანი, ბუში. საქართველოში ბატონ ზვიადს დავასახელებდი.

**—ხშირად დადიხართ ეკლესიაში? რა როლს ასრულებს რელიგია თქვენს ცხოვრებაში?**

—ხშირად არ დავდივარ. საერთოდ, ჩემი თაობა ბავშვობიდანვე განიცდიდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რელიგიურ შიმშილს. ჩვენ არ გვქონდა საშუალება, გვეცნობოდით ქრისტიანული მოძღვრების არსს. თანდათან მწვავდება ეს დანაკლისი. ვგრძნობ ღვთის მფარველობასა და ლტოლვას მისკენ. ასაკთან ერთად რწმენის საჭიროება ვიგრძენი.

**—ორიოდე სიტყვით თქვენს ოჯახზე.**

—მყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი, გოგონა I კლასშია, ბიჭი კი ბაღში დადის.

**—რამეს კურიოზულს ხომ არ გაიხსენებდით?**

—მთელი ცხოვრება კურიოზებითაა სავსე...

**—როგორ წარმოგიდგენიათ იდეალური ქართული ოჯახი?**

—ჩვენ, ქართველი მამაკაცები, ბუნებით კონსერვატორები ვართ. ვეძებთ ქალებს, რომლებიც მეოჯახენი იქნებიან, ჰუმანიტარული განათლებით. ამიტომ სიხარულით შევხვდი ცნობას, რომ თბილისში, კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის ტიპის სასწავლებლის გახსნას აპირებენ.. ალბათ, საჭიროა ამ ტრადიციის აღდგენა. ბევრი რამ უცხო, ჩვენს ყოფაში შემოჭრილი, ძალით თავს მოხვეული, ამახინჯებს ქართველი კაცის ფსიქიკას. ქართველი ვაჟის აღზრდაში უნდა იმატოს რაინდულმა სულმა...

—„ზუგდიდში თუ ყოფილხართ, ჩემო მკითხველო?

არა?

მაშ საქართველოს ულამაზეს დაბათგანი არ გინახავთ.

დადიანისეული სასახლის გასწვრივ მიურატისეული სდგას..., ფეოდალის სასახლე და ერთქუჩიანი ქალაქი! ამ მხრივ მეთვრამეტე საუკუნის ვაიმარს მოგვაგონებს ზუგდიდი. მიურატისეულ სასახლესთან იწყება შესანიშნავი ჭადრების ხეივანი. შუაში პატარა რუ მიწანწკარებს. ამ ჭადრების ხეივნის გაღმა-გამოღმა ზიდის ეს ერთადერთი გამზირიც“...

—ზუგდიდის ეხლანდელ სახეს ყველანი ვხედავთ. ჩემის აზრით, ამის მიზეზია განვითარების ბუნებრივი პროცესების ძალდატანებით შეცვლა, რაც ისევ მონობამ მოიტანა. მრეწველობის **არატრადიციული** (ხაზგასმა ეკუთვნის ბატონ თამაზს) დარგების ქაოტურმა განვითარებამ, რამდენიმე ქარხნის აგრარულ-[illegible] რა ქალაქში თავმოყრამ ის ზუგდიდი დაკარგა.

ჩემი ოცნებაა ზუგდიდის ისტორიული ცენტრის აღორძინება, მისი ეროვნული იერსახის დაბრუნება. ვაპირებთ, დავუკავშირდეთ სამხატვრო აკადემიისა და სტუ არქიტექტურულ ფაკულტეტებს, ვთხოვოთ, სტუდენტებს საკურსო ან სადიპლომო ნაშრომებად შესთავაზონ ზუგდიდის ისტორიული ცენტრის პროექტი, რა თქმა უნდა, ტრადიციული იერის გათვალისწინებით. გამოცხადდება კონკურსი—ახალგაზრდები ხომ ლაღნი და გაბედულნი არიან. იმედი მაქვს, დაგვიბრუნდება ყოფა, რომელსაც ნოსტალგიით იხსენებენ ზუგდიდელები. მაგრამ ყველაფერ ამას ეკონომიკური ძლიერება სჭირდება.

**—რატომ დაგვთანხმდით ინტერვიუზე?**

—პირველ ყოვლისა, მანდილოსნები ხართ და თქვენს თხოვნაზე უარი არაა რაინდული საქციელი. ამასთან, სასურველია, ხალხმა იცოდეს ჩვენი აზრები, გეგმები. და ბოლოს... თქვენი იმედი მაქვს...

**ესაუბრნენ თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მე-2 კურსის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორადი განყოფილების 1 კურსის სტუდენტები**

**ნინო მეგონია,**

**ელენე ჯიმშელეიშვილი**

---

ხალხი ფიქრობს, სჯის —

# დავამკვიდროთ ნამდვილი დემოკრატია

ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ ისტორიული მნიშვნელობის საქმე გააკეთა. გარდა იმისა, რომ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის რეალურ ბრძოლას, ფართო გზა მისცა დემოკრატიზაციის პროცესს. ისეთი ტენდენცია ისახება, რომ მბრძანებლურ ადმინისტრაციული მართვის სისტემა თანდათან უნდა მოიშალოს და ძველი სტრუქტურების ნაცვლად უნდა დამკვიდრდეს წარმოების თავისუფალი ფორმები. მრავალპარტიულობა, დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება, რასაკვირველია, ცივილიზებული, სამართლებრივი საზოგადოების აშენების ნაცადი გზაა. ამ გზას უყოყმანოდ უნდა დავადგეთ ჩვენც. მაგრამ უნდა გავიაზროთ და გავითვალისწინოთ წარსულის მემკვიდრეობა, საიდანაც მოვდივართ, ნებისმიერი ღონისძიებები, რომლებსაც მომავლის სახელით ვსახავთ და ვანხორციელებთ, მოაზრებულ უნდა იქნას ისტორიული ვითარების კონტექსტში. ალბათ არ იქნება სიკეთის მომტანი, ძველის ხელაღებით ძაგება, არა ნიჰილიზმი გუშინდელი დღისადმი, მისი შემოქმედი მშრომელი ადამიანებისადმი, არამედ მოვლენების, მისი შუქ-ჩრდილების კრიტიკული შეფასება. უარსაყოფი და მოსაკვეთი უნდა მოიკვეთოს, მაგრამ რაციონალური მარცვალი წარსულიდან უნდა წამოვიღოთ.

გული იმაზე მწყდება, რომ მავანს სწორად არ ესმის საჯაროობისა და დემოკრატიის არსი. მე ნამდვილ დემოკრატიას ვგულისხმობ და არა გარდაქმნის ეგიდით მოტანილ ცრუ და მოჩვენებით თავისუფლებას. თავის დროზე პრომეთეს ცეცხლი ბოროტად გამოიყენეს ადამიანებმა. დემოკრატია დიალექტიკური კატეგორიაა. იგი გულისხმობს უფლება-მოვალეობათა ერთიანობას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნებას ყველაფრის უფლება გაქვს. არსებობს შეუვალი ზნეობრივი ნორმები, რასაც უნდა დაემორჩილო, ამასთან პატივი უნდა სცე, დაიცვა კანონი, რომელიც არეგულირებს მოქალაქეობრივი ურთიერთობის ყველა ასპექტს. ზემოდან დიქტატის, მონოპოლიური აკრძალვების მოხსნა არ ნიშნავს იმას, რომ შინაგანი ცენზორისგან თავი გაინთავისუფლო. დემოკრატიას სჭარბი შეგნება და ცივილიზებულობა, ზნეობა სჭირდება. ყოველმა ჩვენგანმა ერთმანეთი უნდა აღვზარდოთ. დიდი და სერიოზული მუშაობაა საჭირო შრომით კოლექტივებში, რათა ადამიანებს განუვმტკიცოთ სოციალური სამართლიანობის რწმენა. თუ ეს არ გავაკეთეთ, ხელში შეგვრჩება ბუტაფორიული დემოკრატია, რომელიც ყველა ჯურის ბიუროკრატიზმზე უფრო საშიშია.

**ნ. ჯინჯოლავა,**

მ. კოსტავას სახელობის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

---

ახლახან ერთერთმა დასავლეთელმა ლიტერატორმა ქართული გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში **შენიშნა: ცნობილი დებულება სამყაროს შვიდი საოცრ**ების შესახებ ისევე მოძველებულია, როგორც რომაელი გლადიატორის შუბი თანამედროვე შეიარაღებისთვისო. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მე ვიხილე ახალი საოცრება, რომელსაც საქართველო ქვია.

უცხოელი სტუმრის თვალით და **გულით ნაგრძნობი შენი მამული დიახაც რომ ათკეცად საამაყოა.**

როგორ არ უნდა აღივსო ღირსების გრძნობით, როცა ასეთ კულტურულ განძეულობას ფლობ, როცა საეკლესიო საგალობლების მსოფლიო ფესტივალზე ქართულ სიმღერას საარაკო წარმატება ხვდება წილად. როცა „შენ ხარ ვენახი“—მეათე საუკუნეში შექმნილი ეს საოცარი ჰიმნი მუსიკის უმკაცრეს მსაჯულთა უპირველეს ჯილდოს იმსახურებს.

შეუძლებელია სიამაყის გრძნობა არ დაგეუფლოს, როცა მსოფლიო ხალხური ზეპირსიტყვიერების საგანძურს ამდიდრებს ისეთი თვალმარგალიტით, როგორიც „ვეფხისა და მოყმის“ ბალადაა.

ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა! —

# მხოლოდ ერთმანეთის გატანით

როგორ არ უნდა იამაყო, როცა მსოფლიოში ერთერთმა პირველმა, ჩვენმა თანამემამულემ დათიაშვილმა შესძლო გაეკეთებინა უნიკალური ოპერაცია —მოწყვეტილი კიდურების გადანერგვა.

როგორ არ უნდა იამაყო იმ ფაქტით, რომ ძმები ზალდასტანიშვილები ამერიკის შეერთებული შტატების რჩეულ პიროვნებათა საპატიო წიგნში შეაქვთ. განა შეიძლება არ მოგწონდეს თავი ნინო ანანიაშვილით, პაატა ბურჭულაძით, მიხეილ თუმანიშვილით? რჩეულთა სახელები ლეგიონია.

ალბათ ძნელია მოიძებნოს დედამიწაზე მეორე ერი, რომელიც ასე ეჭიჭგნოს საუკუნეთა მანძილზე ათასი ჯურის მტერს. მაგრამ გადავრჩით. და გადავრჩით იმის გამო, რომ ჩვენი წინაპრის სისხლში კეთილი, ძლიერი, დაუღლელი გენი ფეთქავდა.

ალბათ ესეც ბედისწერაა, იყო [illegible] და [illegible], ასე [illegible] და ასე [illegible], [illegible] დაუოსული.

ივეს ვეროფერი ვერ მოგვერევა, თუკი ივეხსავე [illegible] [illegible] ერთას არ დავემოხებით. ნიჭიერია ქართველია პოეტია სწორად შეხიშნა; ჩვენთან ერთ არსებაზე ათი ფარსადანი მოდისო. იქნებ გადვიადებული ხათქვამი იყოს. მაგრამ ამ ოხუნჯობაში, ჩვენდა სავალალოდ, მწარე სიმართლეც არის.

მოდით, საკუთარი თავი ხელში ავიყვანოთ, იემო საყვარელო თანამემამულენო და ვძლიოთ ჩვენივე ისტორიული ბედი. არ გავალალოთ სულში ეშმაკისეული, ვისურვოთ ის, რომ საქართველოს აღორძინებისათვის თითოეულ ჩვენგანს შესძლებოდეს საკუთარი ძალ-ღონის დაუზოგველად დახარჯვა. ეროს გამაძლიერებელი და შემაკავშირებელი დუღაბი არ უნდა გამოიფიტოს.

მხოლოდ ერთიანობით, ერთმანეთის გატანით მოვალონიერებთ შეურაცხყოფილ, გაპარტახებულ მამულს.

**ზ. ცხონდია.**

---

# შარშან და წელს

„საქქაღალდმრეწვის“ ქაღალდის წარმოების კოლექტივმა შარშან გამოუშვა და რეალიზებულ იქნა 18143 ტონა ქაღალდი. მომხმარებელს მიეწოდა 1536 ტონა ზეგეგმიური პროდუქცია.

ფართო მოხმარების საგნების წარმოების საამქრომ სასკოლო რვეულების დამზადების გეგმა 100,1 პროცენტით შეასრულა, ხოლო საერთო რვეულებისა—96 პროცენტით.

მიმდინარე წელს ქაღალდის წარმოების კოლექტივმა უნდა გამოუშვას 17 ათასი ტონა ქაღალდი, 46 მილიონი ცალი საერთო და 70 მილიონი სასკოლო რვეული.

მიმდინარე გადაიარაღება ერთ-ერთი ფაქტორია შრომის ნაყოფიერების გადიდებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაინც უნდა ვთქვა...

## ტკივილი

ცოტა შორიდან უნდა დავიწყო.

როგორც მთელს საქართველოში, ასევე ზუგდიდშიც, 1987 წელი დიდი ილია ჭავჭავაძის წლად იყო გამოცხადებული. ბრძენკაცის დაბადების 150 წლისთავის საიუბილეო თარიღს არაერთი ღონისძიება მიეძღვნა, რომელთა გვირგვინი გახლდათ 28 ოქტომბერს საწარმოო გაერთიანება „საქქალაქმრეწვის" კულტურის სასახლეში გამართული საზეიმო საღამო. იმავე დღეს 13 საათზე გაიმართა ილიას ბიუსტის გახსნის ხალხმრავალი ცერემონიალი...

იმ დღეებში გაზეთი „მებრძოლი" წერდა: „ამიერიდან ჩვენს ქალაქს დაამშვენებს ქართველთა სულიერი მამის შთამაგონებელი სახე. ვერვის ვერ დასტოვებს ეს ნათელი ხატი გულგრილს, კვლავაც სამშობლოზე ფიქრს აღუძრავს აქ წამით შეჩერებულ ადამიანებს და კეთილი საქმეებისაკენ მოუწოდებს მათ".

ილიას ბიუსტის მხატვრულ-ესთეტიკურ შეფასებასა და მისი ავტორის, მოქანდაკე თ. კიკალეიშვილის ნააზრევის ანალიზს მე ვერ ვიტვირთებ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ საზოგადოებრივი აზრი იმთავითვე ორად გაიყო — ილიას ხატის ავტორისეული გადაწყვეტა ზოგს მოსწონდა, ზოგსაც პირიქით. და მე ეს სრულიად ლოგიკურ მოვლენად მიმაჩნია, რამეთუ როგორც ხელოვანს აქვს უფლება გადმოსცეს ისე, როგორც ის გრძნობს და ხედავს, ასევე ჩვენც გვაქვს უფლება გვქონდეს ინდივიდუალური აღქმა და გემოვნება.

საფიქრალი და საწუხარი სულ სხვა რამ არის.

სამწუხაროდ, იმ დროის ქალაქის ხელისუფლებამ არ უღალატეს „დაჩქარების ტრადიციას" და „საიუბილეო პატაკის" ელფერი მისცეს გულდინჯად ასაწონ-გადასაწყვეტ საშვილიშვილო საქმეს. არიქათ, ილიას საიუბილეო დღეების რიტმს არ ჩამოვრჩეთ, ვისზე ნაკლები პატრიოტები ვართო და მავანთა და მავანთა თავმოსაწონად, სამი-ოთხი პარტიული ფუნქციონერის ხელდასხმით, ბიუსტი საჩქაროდ წესით იქნა თაბაშირში ჩამოსხმული და ასევე სულსწრაფად — არც თუ შესაფერის პიედესტალზე დადგმული.

მერე ის იყო ბიუსტის გახსნა ვიზეიმეთ...

როგორც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, ილიას ეს ბიუსტი იყო დროებითი; იგი უახლოეს პერიოდში ბრინჯაოში უნდა ჩამოესხათ, მაგრამ...

ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო. მარტ სამ წელზე მეტი გავიდა ბიუსტის დადგმიდან, ხოლო მის ბრინჯაოში განსხეულებას არა და არ დაადგა საშველი. ამ ხნის განმავლობაში ბევრმა წყალმა და ქარაშოტმა ჩაიარა, ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი ვულკანური ძვრები მოხდა... ილიას ბიუსტი მოწმეა და მხილველი საქართველოს თავისუფლებისათვის ერთ მუშტად შეკრული ზუგდიდელი ახალგაზრდების თავგანწირვა-შემართებისა, მრავალი სიხარულისა და ტკივილის...

...და ასეთ ჟამს მით უფრო გულსატკენია ის ფაქტი, რომ წმინდა ილია მართლის ბიუსტს შესაფერისი პატივით ვერ მოვუარეთ; ცალკერძ ჩვენი უყურადღებობითა თუ გულგრილობით, ცალკე კიდევ კლიმატური პირობების ზეგავლენით თაბაშირის ბიუსტი თანდათან გამოიფიტა, დაზიანდა და ბოლოს მარჯვენა მხარი ჩამოეფშვნა...

იქნებ მკვახედ გამომივიდეს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ერის სულიერი მოძღვრის ბიუსტი იმ სახით, როგორი სახითაც ახლა დგას ზუგდიდში, დიდი ილიას სახელის შეურაცხყოფა და დამცირება უფროა ჩვენგან, ვიდრე პატივის მიგება. არადა, ღმერთმა და კაცმა ხომ იცის, რომ ამ ბუმბერაზი მამულიშვილის სიყვარული თითოეულ ჩვენგანს დედის რძესთან ერთად აქვს შესისხლხორცებული!

წმინდანის ხატი შველას ითხოვს...

ჯამბულ არქანია.

# პაციენტი მკურნალი გახდა

ნანა ხასია ჯანის სისუსტემ და ტკივილმა მიიყვანა თბილისის სამედიცინო მომსახურების კოოპერატივ „გასტროჰეპატოლოგში". გულმოდგინე გასინჯვისა და ანალიზების დროს გოგონას ყველასათვის მოულოდნელად აღმოაჩნდა მაღალი ბიოდენი, ღვთისგან ბოძებული ის ჯადოთვისება, რომელსაც საყოველთაოდ ცნობილი ექსტრასენსები ფლობენ და იყენებენ ადამიანთა განსაკურნავად.

გამოჯანმრთელებისთანავე ნანა ბეჯითად შეუდგა მეცადინეობას იმავე კოოპერატივში და დამსახურებულად მიიღო მკურნალის პირველი კვალიფიკაცია შესაბამისი მოწმობით, მაგრამ ახალგაზრდა არ ჩქარობდა, არ გაუტაცნია ექსტრასენსობით სახელის მოხვეჭის ცდუნებას და ცოდნის გასაღრმავებლად მოსკოვის არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრ „ჯუნას" მიაშურა. ბედმა გაუღიმა ნანას. იქ, სამეცნიერო ცენტრში, სანატორიუმის მთავარი ექიმი, სახელგანთქმული ჯუნა დავითაშვილის პირველი მასწავლებელი ია ფაფანოვა შეხვდა პრაქტიკის მასწავლებლად და მასთან წარმატებით გაიარა ჯუნას მეთოდიკით უკონტაქტო მასაჟირების სრული კურსი.

ამის შემდეგ ნანა ჯემალის ასული ხასია მოკრძალებით, დიდი პასუხისმგებლობითა და ერთგულებით ემსახურება საყვარელ საქმეს. მკურნალობის შედეგები უეჭველი და თვალსაჩინოა. იზრდება მისი პაციენტების რიცხვი.

ზუგდიდში, ერისთავის ქუჩის 10 ნომერ სახლში ცხოვრობს ახალგაზრდა ექსტრასენსი და მკურნავს ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, თირკმლების სნეულებით, უძილობით, შაქით, რადიკულიტით დაავადებულებს.

კეთილშობილი და ნაყოფიერი იყოს მისი გარჯა ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, ბედნიერი მომავლისათვის.

ბ. არაბიძე.

# კოლხეთში ნაოსნობის ისტორიიდან

ჩვენი დღევანდელი საუბარი შეეხება სამდინარო მიმოსვლას მე-19 საუკუნის კოლხეთის ზოგიერთ მდინარეში (რიონი, ხობი, ენგური). ამის შესახებ მასალები მოიპოვება კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში, ჩვენი მუზეუმის არქივში, ცალკეულ ავტორთა ნაშრომებსა და უცხოელ მოგზაურთა წერილებში.

როგორც ცნობილია, ანტიკური ხანის კოლხეთის მთავარი სამდინარო-სანაოსნო გზა ფასისი (რიონი) იყო. ამ გზით იწყებოდა სავაჭრო-სატრანზიტო დაკავშირება ევროპისა (საბერძნეთი და სხვ.) ამიერკავკასიასთან, შუა აზიასთან და ინდოეთთანაც კი. ზღვიდან ფოთში შემოტანილი საქონელი ფასისით და მისი შენაკადი ყვირილათი ნავებით აღწევდა შორაპანამდე, აქედან სახმელეთო გზით (სურამის უღელტეხილზე) და შემდეგ მდინარე მტკვრით გრძელდებოდა. ასევე პირიქითაც. მაგრამ ყოველივე ეს ცალკე საუბრის თემაა.

ევროპა - ამიერკავკასიის ეს სანაოსნო გზა მე-19 საუკუნეშიც (განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში) მოქმედებდა, ხოლო ფოთში რკინიგზის შეყვანის შემდეგ მან წინანდელი მასშტაბი და მნიშვნელობა დაკარგა (1872 წ.).

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რიონში ნაოსნობა მდინარე ხობის შესართავიდან — ყულევიდან ხდებოდა (ფოთი ჯერ კიდევ თურქებს ეპყრა). მდინარე ცივიცია, რომელიც ხობისწყალს უერთდებოდა, ხელოვნური არხით იყო [illegible] მდინარე რიონს დაკავშირებული. ყულევიდან ნავები ორპირამდე და ზოგჯერ ცხენისწყლის შესართავამდე ამოდიოდნენ. ამის შემდეგ ტვირთი მტკვარამდე სახმელეთო გზით გადაჰქონდათ და ამრიგად ევროპული საქონელი ხვდებოდა თბილისში, ბაქოში და კასპიის ზღვით შუა აზიაშიც. აქაური საქონელი და ნედლეული ამავე გზით მიემართებოდა ევროპაშიც.

ნაოსნობა ორპირისა და ყულევს შორის აღწერილი აქვთ ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტებს და დაინტერესებულ პირებს, მაგრამ განსაკუთრებით სრულყოფილი მისი აღწერა მოგვცა მე-19 საუკუნის 50-იან წლებში გაზეთ „კავკაზის" კორესპონდენტმა დუნკელ-ველინგმა (იხ. „კავკაზი" 1850 წ. №26, 1854 წ. №2). ამ გზით არა მარტო ტვირთი გადაჰქონდათ, მგზავრებიც გადაჰყავდათ.

რიონ-ხობის შემაერთებელი არხის მშენებლობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის იონა მეუნარგია, რომელიც მას პირველადი საბუთებიდან აქვს ამოწერილი. ამ არხის მშენებლობის დასამთავრებლად ჯერ კიდევ ლევან დადიანს გაუგზავნია იქ დამხმარე მუშახელი (1824-1825 წ.); ხოლო ასევე დამთავრებია არხის განახლება დავით დადიანი, მაგრამ იონა მეუნარგია კითხულობს, რატომ გახდა საჭირო არხის განახლება, როცა დავით დადიანის მთავრობის დროს რიონზე ნაოსნობა უკვე ფოთიდან წარმოებდა და ნავები და გემები ორპირამდე ამოდიოდნენ. ეტყობა ყულევიდანაც მოქმედებდა სანაოსნო გზა, მით უფრო იმ დრომდე, სანამ ფოთი დამტკიცდებოდა ნავსადგურად (1858 წ.).

არხზე მომუშავენი ყოველდღიურად იღებდნენ ფულად ანაზღაურებას, თუ კვება უფასო იყო, მაშინ მუშებს თითო შაური ეძლეოდათ. როცა ხარჯი მუშების იყო, მაშინ დღიურად სამ შაურს ღებულობდნენ. საინტერესოა გავეცნოთ ი. მეუნარგიას მიერ მოტანილ ცნობას თუ როგორი კვება შეეძლოთ ამ თანხით მუშებს.

„მთავრის კანცელარიის საქმიდან ჩანს, რომ დავით დადიანისაგან დანიშნულ მუშებს დღეში ეძლეოდათ სამ-სამი შაური, ამ ფულით თითოეული მუშისათვის ყიდულობდნენ დღეში ორ გირვანქა ღომს (გირვანქა უდრის დაახლოებით 400 გრამს — მ. პ.), ნახევარ გირვანქა ხორცს, ნახევარ გირვანქა ლობიოს და ერთ მანერკა ღვინოს. რაც ფული გადარჩებოდა ამათ ყიდვას, მუშებს იქვე ურიგებდნენ" (ი. მეუნარგია, „სამეგრელო დავით დადიანის დროს", გვ. 109) ფულის მაშინდელ ასეთ სყიდვით უნარიანობაზე შეიძლება კაცმა ეჭვი შეიტანოს, მაგრამ მე-19 საუკუნის მოღვაწეს ამისი მსგავსი არაფერი გამოუხატავს და ჩვენ რაღა გვეთქმის. ვინც მიურატებზე ჩვენს წყაროებს თვალყურს ადევნებდა იქაც დაინახავდა თუ როგორი იყო პროდუქტებზე ფასები.

სამდინარო მიმოსვლა ხდებოდა ენგურზეც, სოფელ ანაკლიიდან — ჯვარამდე, მაგრამ აღმასვლა ამ მდინარეზე მისი ჩქარი დინების გამო მეტად ძნელი იყო. ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (მე-17 საუკუნე), რომელიც ნავით წამოვიდა ანაკლიიდან 15 ვერსის შემდეგ იძულებული გამხდარა ხმელეთზე გადმოსულიყო და ურმით განეგრძო გზა წიფურიამდე (ტაგილონი) თავისი ტვირთით.

ენგურზე სამდინარო მიმოსვლა ჯვარიდან ზღვისკენ უფრო საფრთხილო, მაგრამ შედარებით ადვილი იყო, როგორც ნავებით ისე ტივებით. სვანეთში დამზადებული და ტივად შეკრული ხეების ხუდონ-ჯვარიდან ჩამოცურებას მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის ჩამოტანისთვისაც იყენებდნენ. ამას კი მეტად გამოცდილი მეტივეები აკეთებდნენ.

ნაოსნობა იყო ხობისწყალზეც, კერძოდ მის ზემოწელშიც, რაც დოკუმენტურად მტკიცდება. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებიდან (ს. კაკაბაძე), ჩანს, რომ აქ, საბაჟოებიც ყოფილა. კერძოდ შამადავლა დადიანის საკათალიკოსო წიგნში ნახსენებია „ქარიანტა" და „კემხელი", სადაც მდ. ხობით ჩატანილ საქონელზე (სიმინდი და სხვა) ბაჟს იღებდნენ.

„ქარიანტა", რა თქმა უნდა, ქარიატაა. როგორც გიცით, იგი დაშორებულია ზღვისპირს რამდენიმე კილომეტრით და აქედან ჩანს, რომ ხობის ზემოწელშიც ყოფილა ნაოსნობა. რაც შეეხება „კემხელს", ეს სახელი ფიქსირებულია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში (იხ. ტ. 3, გვ. 517-519) და ფრანგი მოგზაურის შარდენის რუკაზეც აწერია ხობს და მის შესართავსაც. როგორც ირკვევა „კემხელი" („კემხალი") მდინარე ხობისა და ყულევის ერთ-ერთი ძველი სახელი ყოფილა. მაგრამ ეტიმოლოგიურად იგი ჯერჯერობით ახსნილი არ არის.

თქმა არ უნდა იმას, რომ რეგიონის შიგნით ტვირთის გადატანისა და მოგზაურობის ძირითადი საშუალება, მაინც სახმელეთო მიმოსვლა იყო. მთავარი მაგისტრალური ხაზი ეგრეთწოდებული შუა სამეგრელოს გზა მაშინ მიემართებოდა ზუგდიდიდან ჭაქვინჯის გავლით ლესიჭინესაკენ, აქედან ჯოლევისა და ნაჯავახოს გავლით ხონისაკენ. ამ გზით წასულა ზუგდიდიდან ქუთაისს მიმავალი ხელმწიფე — იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე, რომელიც 3 დღით სტუმრობდა სასახლეში ლევან დადიანს (1837 წ.). საერთოდ კოლხეთში ძველი დროიდანვე იყო განვითარებული სახმელეთო გზები, რასაც აღნიშნავდნენ ანტიკური ხანის ბერძენი და ლათინელი მწერლები.

მამანტი პაპკორია,
ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.

(გაგრძელება იქნება)

# კანონს უნდა ემორჩილებოდეს ყველა

ძნელია წარმოიდგინო ნორმალური ფსიქიკის ადამიანი, რომელსაც არ სურდეს იყოს სიმშვიდე, წესრიგი, ცხოვრება ადამიანური და ზომიერების ფარგლებში. ბევრი ელოდება ამ სანატრელ დღეს. მაგრამ ამის მიღწევას, რომ ბრძოლა ესაჭიროება ამაზე ბევრი არც კი ფიქრობს. თავისთავად, უშრომლად და საერთო მოწადინების გარეშე კი სიკეთე არ მოდის. ამ მოსაზრების დამადასტურებელ მაგალითს საგზაო მოძრაობის ერთიანი პროგრესიც წარმოადგენს.

ვისაც ერთხელ მაინც შეუვლია საჭისათვის სამართავად ხელი და ჩაბმულა სატრანსპორტო ნაკადში, უეჭველად უგრძნია, რომ იქ ნაკლებად იგრძნობა სიკეთისათვის სწრაფვა, ურთიერთპატივისცემა, სოლიდარობა, მოთმინება. ბევრისათვის არაფერს წარმოადგენს უსაფრთხოების კანონის უზრუნველყოფა, მოძრაობის სხვა მონაწილეთა და საბოლოო ჯამში, მთლიანად საზოგადოების ინტერესების არად ჩაგდება, რადგან საგზაო მოძრაობისადმი ამგვარი დამოკიდებულების ნეგატიური შედეგები უწინარესად სწორედ საზოგადოებას ატყდება თავს.

ზოგს ჰგონია, რომ უტიფრობას და უზრდელობას მხოლოდ მაშინ ავლენს კაცი, როცა ტალახიანი ფეხსაცმელებით შეაბოტებს მასპინძლის მიერ საგულდაგულოდ მოპრიალებულ იატაკზე. მაგრამ, განა, ნაკლები უჩამუსობაა, როცა მძღოლი შეგნებულად არღვევს მოძრაობის წესებს, საბავშვო ბაღთან გავლისას სიჩქარეს არ ანელებს, ქვეითად მოსიარულეს საშუალებას არ აძლევს მშვიდად გადავიდეს გადასასვლელზე, გზას არ უთმობს არავის და ეს დალოცვილი ქვეყანა მხოლოდ თავისი საკუთრება ჰგონია.

ცხადია წესრიგის დარღვევებს, მის მასობრიობას საზოგადოდ სოციალური სარჩული უდევს და ამ თემაზე საუბარი ცოტა ხნის წინ აკრძალულიც კი იყო. საჭესთან მჯდომ მძღოლს ხომ ქვეცნობიერად ათასგვარი საფიქრალ-საზრუნავი აფორიაქებს, რაც უნებურად თიშავს და ფანტავს მის ყურადღებას, იწვევს უხეშ შეცდომებს საგზაო მოძრაობაში და არც თუ იშვიათად უმძიმესი ავტოავარიების მიზეზი ხდება. ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ როცა კაცი ეთიკის ელემენტარულ ხორძებს არ იცავს, ძნელია აღშფოთების დამალვა. საგზაო კულტურაც ხომ საერთოდ ზოგადი კულტურის განუყოფელი ნაწილია და მისი უგულებელყოფა ზრდადასრულებულ ადამიანს არ ეპატიება არც ერთ ვითარებაში, არ ეპატიება კიდეც იმიტომ, რომ იგი დიდ საფრთხეს უქმნის საგზაო მოძრაობას.

ცხადია, არც სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაობაა სრულყოფილი. ძალზე ბევრი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ რადიკალურად გაუმჯობესდეს საგზაო საპატრულო სამსახურის ხარისხობრივი შემადგენლობა. ძალზე ბევრი ვალუტაა საჭირო იმისათვის, რომ ეს სამსახური უახლესი ტექნიკით აღიჭურვოს.

მაგრამ ეს მომავალია, ხვალინდელი დღის საქმეა. დღეს კი საუბარია იმაზე, რომ ყველამ შესაძლებლობის ზღვრულ ფარგლებში აკეთოს თავისი საქმე, აკეთოს ის, რასაც ოქროს და ვერცხლის გაღება არ სჭირდება, რასაც ზრდილობა და სინდის-ნამუსი მოითხოვს.

თუ ამგვარი საერთო ძალისხმევა იქნება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზარმაზარი პრობლემის სხვა ამოცანებსაც გადავჭრით, თავიდან ავიცილებთ ათასგვარ უბედურებას, მინიმუმამდე შევამცირებთ ადამიანთა უაზრო მსხვერპლს.

მინდა ასევე ავტოტრანსპორტის მფლობელებს ვაუწყო იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის 2 თებერვალს რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა და შემდეგ ადგილობრივმა გაზეთმა „ოდიშმა“ გადმობეჭდა „საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“. კანონში მითითებულია, რომ ის პირები, რომლებიც მართვის მოწმობის გარეშე მართავენ ტრანსპორტს, ჯარიმდებიან ხუთას მანეთამდე. იგივე დარღვევა, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალებათა, ტვირთის, გზების, საგზაო და სხვა ქონებათა დაზიანება გამოიწვევს დაჯარიმებას ათას მანეთამდე ან სატრანსპორტო საშუალებათა სასყიდლად ჩამორთმევას.

სატრანსპორტო საშუალებათა მართვის გადაცემა არასრულწლოვანთათვის გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალებათა სასყიდლად ჩამორთმევას.

კიდევ უფრო გამკაცრებულია კანონი იმ პირებისათვის, რომლებიც ავტოსატრანსპორტო საშუალებებს მართავენ სახელმწიფო ნორმების გარეშე, ან სხვისი ან შენიღბული ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო ნიშნებით, გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევას ერთიდან სამ წლამდე.

იგივე ქმედება განმეორებით ერთი წლის განმავლობაში გამოიწვევს სატრანსპორტო საშუალებების კონფისკაციას.

ეს კანონი ზოგიერთმა ავტომოყვარულმა არასწორად გაიგო. განგიმარტავთ, რომ უნომროდ ჩაითვლება ის ავტომანქანა, რომელსაც არა აქვს თუ გინდ ერთი ნომერიც (იგულისხმება წინ ან უკან), ასევე უნომრო მანქანას არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს. ავტომოტოტრანსპორტი ხაზზე სანომრე ნიშნების გარეშე არ უნდა გავიდეს. ასე რომ უტკივარი თავი არავინ არ უნდა აიტკივოს.

ჩვენ ყოველნაირად ვეცდებით კანონი მთელი სიზუსტით და მკაცრად დავიცვათ.

**ფ. კიფაია,**

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო რაიონული განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

# დავეხმაროთ ტარიელ მეფორიას

ოჩამჩირეში, საბჭოს ქუჩაზე ცხოვრობს ოთარ მეფორიას პატიოსანი, გამრჯე ოჯახი, რომელსაც დიდი ტკივილი უკარგავს მოსვენებას: მძიმე ავადმყოფია ოჯახის ვაჟიშვილი 16 წლის ტარიელი, რომელიც მეექვსე კლასში დაავადდა. დიაგნოზიც — ქრონიკული გლომერუნონეფრიტი — არ იძლევა მისი ადვილად განკურნების იმედს. მშობლები არაფერს ზოგავენ შვილის გადასარჩენად, საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა წამყვანი კლინიკა მოიარეს, მაგრამ ამაოდ დადგინდა, რომ ავადმყოფის განკურნება მხოლოდ საზღვარგარეთაა შესაძლებელი. ამჟამად ტარიელი დროებით ოჩამჩირეშია, მშობლებთან და ელოდება გამოძახებას მოსკოვის №1 სამედიცინო ინსტიტუტიდან, სადაც მისი საზღვარგარეთ წასასვლელი ვიზა უნდა მოვიდეს. მალე იქნება ეს, მაგრამ არსებობს დიდი დაბრკოლება — დოლარები, რომელიც მკურნალობისათვის სჭირდება ავადმყოფს. მის ოჯახს კი საჭირო თანხის გადახდის საშუალება არ გააჩნია.

თქვენი თანადგომის იმედიცა აქვს დაჩაგრულ ოჯახს, ძვირფასო ზუგდიდელებო. ვიყოთ გულმოწყალენი, საკუთარივით აღვიქვათ მოძმის ტკივილი და ამ საყოველთაო გაჭირვების ჟამს კიდევ ერთხელ გავიჭირვოთ, გავიღოთ თანხა როგორც შეგვიძლია, რამდენიც შეგვიძლია, და შევინარჩუნოთ კიდევ ერთი ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლე.

ძვირფასო მეგობრებო თუ გაგიჩნდებათ დახმარების სურვილი, შეგიძლიათ თანხა გადარიცხოთ, **ოჩამჩირის შემნახველ განკში, ანგარიში №77961.** ტარიელ ოთარის ძე მეფორიას სახელზე.

**რედაქტორი**
**პ.კ. ჭანტურია**

მეუღლე იპოლიტე, დედა თებრო, შვილები: ნიურა, ნელიკო. პალიკო. ლუარა. რევაზი. ძმები: ქორა, ვახტანგი. დები ჟუნა. ვარდო. მარგო. ქვაპი. შვილიშვილები: ბესიკი, მამუკა. გელა, ფატიმა, შორენა. ლერი. ოიტა. ალიკა, ჟანა. ნინო, სიძეები ამირან ბაკარანძე, მიტუშა ჩიქობავა, გონელი დარასელია, სერიოჟა იუსუპოვი, მაზლები დათუშა ჩახაია, დათიკო გუგუჩია. რძლები: ნანი, ვერა, ნათელა, ზახიკო, დისშვილები: ემზარი. ლესტე. ვალერი. გენო ბაკარანძეები, ნიაზი. ანზორი. ნარგიზა. ბექანა. ზაური. ლარისა. ზურაბი. მეტვარი. ლალი ჩიქობავები. კოკი. ტიტიკო როგავები. ძმისშვილები გულნაზი, გულნარა, მურთაზი. მერაბი, გოჩა. მაყვალა. ნატო. მაკა. პაატა გითოლენდიები. მაზლიშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**ვენერა ბაგრატის ასულ გითოლენდია-გუგუჩიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23, 24 თებერვალს. დაკრძალვა 26 თებერვალს ს. კახათში.

შვილი რეზო ქვაცაბაია, დები კატუშა, ხინო, ძმები მიშა. კოტე ხუბუტიები. რძლები: ეთერ ძენგელია, მერი დაოასელია, ეკა ჯახაძია, მარგო ჭილაია, ანტისა ქარდავა, თეა ხაფავა, სიძეები: გიორგი მიქავა, გურამი წიფურია, მამუკა ფარცვანია, დეიდები: ლორა, ადელიხა, ბიძა დათიკო ჩხეტია, დისშვილები: მარინა სორდია, ლია. გია მიქავები, ძმისშვილები პაატა, თენგიზი, მიხეილი, ნიხო, თამუნა, კოია. კოკა ხუბუტიები, მაზლიშვილები: ამირან, გული, ზურიკო ქვაცაბაიები იუწყებიან

**ვერა აკაკის ასულ ხუბუტია-ქვაცაბაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22, 23 თებერვალს. დაკრძალვა 24 თებერვალს. გამოსვენება ქ. ტყვარჩელი, რუსთაველის ქუჩა 9, 15 საათზე, დასაფლავება ქ. ზუგდიდი, ქაფეთის სასაფლაოზე 17 საათზე.

შვილები: სანიე, ცისანა, ინოლა. ჯემალი. ადიკო ხურცილავა, დები: ძინობია, ვერა ხურცილავები, შვილიშვილები ჯამბული. გოჩა. მადია. კობა. ირაკლი, ნინო. ალიკა. გოგა. ბესიკი, რძლები: ნევალი ადამია, ნარგიზა ჯობავა, ასიე, საბრიე, ვალია, ლალი. სიძეები: ვალიკო ქვაჩახია, რაჟდენ ბაჩილავა, ძმისშვილები: ციური, ენვერი. გია ხურცილავები, დისშვილები: ტანია, ნათელა, სერიოჟა, აპოლონი. გაბო. ციალა გაბეჩავები, ინოლა. შურა ჭედიები, მაზლიშვილები: იაშა, იგორი, მერი, მზიური. გული. რევაზი. როლანდი, ნარი. გული რაზმაძეები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლილი ბესას ასულ ხურცილავა-რაზმაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22 თებერვალს. გამოსვენება 23 თებერვალს ზუგდიდი, კოლხეთის ქ. (ყოფილი ლენინის ქუჩა) 192, დაკრძალვა სოფ. ანაკლიაში.

მეუღლე ლავრენტი ქვარცხავა, შვილები: მზია. ლიონია. დოლუბა ეფენია. ძმა დათიკო ეფენია, სიძეები: ალექსი რომანოვსკი, პართენ ქირია. შვილიშვილები: გელა, ხათუნა რომანოვსკები, მული ოლია ქვარცხავა, რძლები: ცაცა ლაშხია, ნათელა არჩაია, ბიძია ილია ტაბალუა, დისშვილი ვაგნერ ქირია, ძმისშვილები: რუზგენი, ანგუზი, ნონა ეფენიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**მარგო ლაზარეს ასულ ეფენია-ქვარცხავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22, 23 თებერვალს. დაკრძალვა 24 თებერვალს სოფ. ცაიშში.

მეუღლე ზინა, შვილები: რევაზი. რამაზი. ლიანა და პაჭუ, რძალი სულიკო, სიძე სერიოჟა მამფორია, შვილიშვილები: მარიანა, მარიკა. დიმა. რუსლანი. ცირა. მალხაზი. მაია. ბიცოლები ქენია. ვენერა. დეიდა ბუცა. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**იაშა პოკროს ძე კოდუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24, 25 თებერვალს. დაკრძალვა 26 თებერვალს ს. ორულში.

შვილები: ჯუმბერი. ჯემალი, შვილიშვილები: ეკა, ასმათი. ირაკლი. მაკა. გურანდა მაქაცარიები, რძლები: ვარდო ყურაშვილი, დალი გოგია, სიძეები: მერაბი მანია, გია ნიკურაძე, ბიძაშვილები: ზაური. მურმანი, იპოლიტე, თალიკო. ნუნუ სვანიძეები, დეიდაშვილები: გურამი, ციალა, მიმოზა, რუსიკო ჰურღულიები იუწყებიან

**ლიდა სამსონის ასულ მაქაცარიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24 თებერვალს 17 საათზე, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, შაუმიანის ქ. 20.

დედა მარიამი, მეუღლე ციალა სვირავა. შვილი ბადრი. დები: ჟუჟა, ლიანა, ძმა რეზო ქარცხიები. რძლები: ლუსია ესართია, დინარი ვეზდენი, სიძე პალიკო ლოგუა. დისშვილები: ნინო. ნანა. მამუკა ნადარაიები, ლევან ლოგუა, ძმისშვილები: რუსიკო, ხათუნა, იზა. ჯონი, ლევანი ქარცხიები, ცოლისძმა ვანო, ცოლისძმისშვილები: ცისანა, მერაბი. სოსო სვირავები, მამიდა ფუცუ დეიდები ლიდა, ტუტუ ხუხუები, ბიძაშვილები. დეიდაშვილები. მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ალიოშა ვარლამის ძე ქარცხიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23 თებერვალს. დაკრძალვა 24 თებერვალს სოფ. კოკში.

შვილები: რეო, ლეილა, რევაზი, მურთაზი ნანული, ტარზანი, ეთერი, ჯამბული ზარანდიები. დები: ძაბა. მარო სოსელიები, ძმები: ორდენი, კაკო, ალიოშა. მეგონა სოსელიები, რძლები: ციალა ქირია. ნონა ჩუხუა. ნუნუ დარასელია. აზა ქობალია, შორენა სიჭინავა, რომა ოყუჯავა, ნათელა, ლუარა, ლალული, შურა. სიძეები ჯემალ ჭითანავა, გოგი პაპიკაშვილი, ავთანდილ ცხადაია, შვილიშვილები: ზურიკო, მერაბი. მამუკა, გელა, ხათუნა, დათო. პაატა. რუსიკო. ზაზა. თამუნა, ზვიადი. დათა. ქეთო, თეა. ალიკა, ჯიბო. ძმისშვილები. დისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნუცა აქვსენტის ასულ სოსელია-ზარანდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24 თებერვალს. დაკრძალვა 26 თებერვალს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, თავისუფლების ქ. 217.

ზუგდიდის საექსკურსიო სამოგზაურო ბიუროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მწუხარებაში მურთაზ ზარანდიას დედის

**ნუცა აქვსენტის ასულ სოსელია-ზარანდიას**

გარდაცვალების გამო.

დედა ანტისა, მეუღლე ზოია, შვილები: ბუთხუზი, პაპუნა. და აზა, ძმა ბუხუტი. რძალი ნათელა პაპავა, სიძე ჯემალ კარტოზია, დისშვილები: ირინა. ჯინა, ძმისშვილი დათო, დეიდები: კატია, ვერა, ნარგიზა. ბიძია გივი ხვიჩავა, ბიცოლები: ლამარა ხვიჩავა, ნორა ქარდავა, სიდედრი ჟუჟუნა, სიმამრი იონა ნაჭყებია, ცოლისდები: ქონარა, იზო, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**არდაშელ (ბადრი) ვალოდიას ძე ქარდავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22 თებერვალს. დაკრძალვა 23 თებერვალს ჩხორიაში.

შვილები: შურა. გურამი. ნური. რძლები: ნატო გრიგოლია, ზაირა ქარდავა, სიძე ბოჩო ჭაავა, შვილიშვილები: დალი. ირმა. თამუნა, თემური. მამუკა, გია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ ნაუს ასული შანავა-სიჭინავა.**

დაკრძალვა 24 თებერვალს 4 საათზე, გამოსვენება ქ. სენაკი, გამარჯვების 29.

ფასი 5 კაპ. ჩვენი რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-23-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-81-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

ხიკ. ზემდგბაკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-28-07 ტირაჟი 8000 შეკ. №455